პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2022 წლის -------იანვარი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ანდრო ხარაბაძეს შორის 2020 წლის 22 სექტემბერს გაფორმებულ N2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482201069; 10/01/2022) წერილი, რომელშიც მერი, მოიჯარე ანდრო ხარაბაძის განცხადების საფუძველზე, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ითხოვს თანხმობას საკრებულოსაგან, წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ანდრო ხარაბაძეს შორის 2020 წლის 22 სექტემბერს გაფორმებულ N2 ხელშეკრულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე პუნქტს დაემატოს შემდეგი ჩანაწერი:

„ ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიისაგან შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით 2021 წლის 30 დეკემბრამდე გადასახდელი საიჯარო ქირის ნაწილი 270,16 ლარის გადახდა გადავადდეს საშეღავათო პერიოდით 2022 წლის 15 სექტემბრამდე. ამ პერიოდის განმავლობაში არ მოხდეს პირგასამტეხლოს დაკისრება“.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, აღნიშნული მოთხოვნის შესაბამიდად ,წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ანდრო ხარაბაძეს შორის 2020 წლის 22 სექტემბერს გაფორმებულ N2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა მ. ბერაძე

შეთანხმებულია რ. დიდავა

საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482201069**
თარიღი: **10/01/2022**
პინი: **8315**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებ

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ: თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გაცნობებთ, რომ 2021 წლის 29 დეკემბერს „მოიჯარე" ანდრო ხარაბაძემ განცხადებით მომართა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას, რომლის შინაარსიდან ირკვევა, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით ითხოვს გადაუვადოთ 2021 წლის 30 დეკემბრამდე გადასახდელი საიჯარო ქირის გადავადებას 2022 წლის 15 სექტემბრამდე.

აღნიშნულთან დაკავშირებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია გაცნობებთ შემდეგს:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ანდრო ხარაბაძეს შორის 2020 წლის 22 სექტემბერს გაფორმდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით, პირობებით სარგებლობის უფლებით გადაცემის N2 ხელშეკრულება, რომლის თანახმად მოიჯარე წლიურ საიჯარო ქირას 540,32 ლარს იხდის წლის განმავლობაში ორჯერ: 30 დეკემბრამდე-270.16 ლარს და 15 სექტემბრამდე -270,16 ლარს.

ქვეყანაში შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეტანილ იქნას ცვლილება წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ანდრო ხარაბაძეს შორის 2020 წლის 22 სექტემბრის N2 ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე პუნქტში, კერძოდ, მეორე პუნქტს დაემატოს შემდეგი ჩანაწერი:

,, ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიისაგან შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით 2021 წლის 30 დეკემბრამდე გადასახდელი საიჯარო ქირის ნაწილი 270,16 ლარის გადახდა გადავადდეს საშეღავათო პერიოდით და მოიჯარემ გადაიხადოს 2022 წლის 15 სექტემბრამდე, ამ პერიოდის განმავლობაში არ მოხდეს პირგასამტეხლოს დაკისრება.''

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ მოგვცეთ თანხმობა შეტანილ იქნას ცვლილება წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ანდრო ხარაბაძეს შორის 2020 წლის 22 სექტემბერს გაფორმებულ №2 ხელშეკრულებაში ზემოთ მითითებული პირობების შესაბამისად.

პატივისცემით,

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge